სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

ქ. თბილისი 29 დეკემბერი, 2014 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი ლომიძე

სატენდერო კომისიის წევრები: მალხაზ ოსაძე, ვასილ ჯანჯღავა, გიორგი ტაბიძე, კობა ხუბუნაია, ბესიკი ფოფხაძე, ნინო ინწკირველი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მალხაზ ტაბლიაშვილი, ლაშა ბოკუჩავა.

კონკურსანტი: შპს „MHD group" წარმომადგენელი მიხეილ გიორგობიანი

დღის წესრიგი: ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე 2014 წლის 03 დეკემბერს გამოცხადებულ #1433 კონკურსში კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების გახსნა და ფასების გამოცხადება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის, ნინო ინწკირველის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „ოპტიმუსმა" და შპს „MHD group"-ma . ნინო ინწკირველმა დალუქული კონვერტები გახსნა და წინადადებაში დაფიქსირებული ფასები გამოაცხადა:

1)შპს „MHD group" - კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა ინფორმაცია ფასის შესახებ სადაც ერთმნიშვნელოვნად არ იკითხეფა საკონკურსო წინადადების ღირებულება, საკონკურსო კომისიის წევრის ნინო ინწკირველის კითხვაზე, თუ რაა საკონკურსო წინადადების ღირებულება, შპს „MHD group" წარმომადგენელმა მიხეილ გიორგობიანმა უპასუხზა რომ, საკონკურსო წინადადების ღირებულება არის 29 000,00 (ოცდაცხხა ათასი) ლარი, რომელიც არ ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩასატარებელ ხარჯებს;

2)შპს „ოპტიმუსი" – 43500,00 (ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი.

სატენდერო კომისიის წევრმა ნინო ინწკირველმა კომისიის წევრებს შეახსენა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 45000,00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.

საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრებმა წერილობით დაადასტურეს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. შპს „ოპტიმუსი"–ს და შპს „MHD group"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის მიზნით, საკონკურსო კომისიის სხდომის წევრებს დაევალოთ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შესწავლა საკონკურსო პირობების შესაბამისობის მიზნით.

2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა კონკურსანტების თითო [illegible] წინამდებარე ოქმის დაუყოვნებლივ გაგზავნა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge გამოქვეყნებლად contact@procurement.gov.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

კომისიის თავმჯდომარე: /ირაკლი ლომიძე/

კომისიის წევრი: /ვასილ ჯანჯღავა/

კომისიის წევრი: /მალხაზ ოსაძე/

კომისიის წევრი: /კობა ხუბუნაია/

კომისიის წევრი: /გიორგი ტაბიძე/

კომისიის წევრი: /შესიკო ფოფხაძე/

კომისიის წევრი: /ნინო ინწკირველი/

შენიშვნა: სხდომას არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის წევრი ოლეგ დოლიძე შვებულებაში ყოფნის გამო.